# განმარტებითი ბარათი

ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე

**„ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის № 17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

**1. კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მიღების მიზეზი:**
ჭიათურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესაბამისობაში მოყვანა მუნიციპალიტეტის უფლების განხორციელებისათვის აუცილებელ პირობებთან.

**2. კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის გამოცემის მიზანი:**
2022 წლის ჭიათურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ახალი ფინანსური ნუსხის დამტკიცება.

**3. კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტის ძირითადი არსი:**
ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის განსაზღვრის შესახებ საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილებების შეტანა განპირობებულია საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის N277 განკარგულების „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან“ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ჭიათურის მუნიციპალიტეტისათვის 812 000 ლარის გამოყოფით ასევე საქართველოს მთავრობის 2022 წლის 2 თებერვლის N26 განკარგულებით, საპილოტე რეგიონების განვითარების პროგრამის ფარგლებში 18032 ლარის გამოყოფით, წიაღით სარგებლობის მოსაკრებლის ზრდა 356127 ლარით ზრდით და ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრების თავისუფალი ნაშთის 1000000 ლარის გამოყენებით, სულ ბიუჯეტის განისაზღვრა 35225513 ლარით.

**3.1 მცირდება: 168410 ლარი, მათ შორის:**

3.1.1 02 01 06 ფეხით მოსიარულეთათვის გადასასვლელების, კიბეების, მოედნების მოწყობა 168410 ლარი ქ. ჭიათურაში თხელიძის ქუჩაზე ტროტუარის რეაბილიტაცია სახელმწიფო პროგრამის განახლებული რეგიონების ფარგლებში.
**3.2 იზრდება 2186159 ლარით, მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის თანხა 830032 ლარი და ადგილობრივი ბიუჯეტის თანხა 1356127 ლარით, აქედან:**
**3.2.1 01 01 02 ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერია 52000 ლარი მათ შორის:**
1. საქონელი და მომსახურება 50000 ლარი (საექსპორტო მომსახურების ხარჯი).
2. ჭიათურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორიის მოწყობის საპროექტო სამუშაოები 2000 ლარი (არაფინანსური აქტივების ზრდა).
**3.2.2 სარეზერვო ფონდი 70000 ლარი.**

**3.2.3 02 01 02 გზების მშენებლობა, კაპიტალური რეაბილიტაცია სულ 1028008 ლარი, მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით 10000 ლარი და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებით 1018008 ლარი, აქედან:**
1. კაცხის სვეტთან მისასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დამატებით 10000 ლარი საქართველოს მთავრობის 2021 წლის 16 აგვისტოს N 1419 განკარგულებით (ხელშეკრულება გაფორმებულია).
2. სოფელ რგანში ქეშელეების უბანში გზის რეაბილიტაცია 68367 ლარი.
3. სოფელ ტყემლოვანაში ხარიტონიშვილების უბანში გზის რეაბილიტაცია 41129 ლარი.
4. ნიგოზეთში კურტანიძეების უბანში გზის რეაბილიტაცია 50000 ლარი.
5. ვაჭევში ჩიტიშვილების გზის რეაბილიტაცია 44507 ლარი.
6. სოფ. საკურწეში ეკლესიისკენ მიმავალი გზის რეაბილიტაცია 21264 ლარი.
7. სოფ. კაცხში ხვადაბუნის გზის რეაბილიტაცია 33712 ლარი.

8. სოფ.ნავარძეთში კაპანაძეების უბანში ქუჩა #13-ის გზის რეაბილიტაცია 52255 ლარი.
9. სოფელ უსახელოში სამხარაძეების ქუჩის 300-მეტრი გზის რეაბილიტაცია 50576 ლარი (გარდამავალი)
10. სოფ. ცხრუკვეთის და სოფ. სკინდორის დამაკავშირებელი 3,2კმ გზის რეაბილიტაცია 50115 ლარი (გარდამავალი).
11. სოფ. ბუნიკაურში გელბახიანების უბანში გზის რეაბილიტაცია 28181 ლარი.
12. სოფ. ბუნიკაურში გელბახიანების აღმართის გზის რეაბილიტაცია 37520 ლარი.
13. სოფ. ბუნიკაურში ზურა ბარათაშვილის სახლისკენ მიმავალი გზის რეაბილიტაცია 33769 ლარი.
14. სოფ. თაბაგრებში კენჭოშვილების უბანში 70 მეტრი გზის რეაბილიტაცია 22797 ლარი.
15. სოფ. თაბაგრებში ჭიკინეების უბანში 70მეტრი გზის რეაბილიტაცია 29743 ლარი.
16. სოფ. თაბაგრებში ცენტრალური შესასვლელი 100 მეტრი გზის რეაბილიტაცია 41307 ლარი.
17. სოფ. ბერეთისაში გეორგების უბანში გზის რეაბილიტაცია 50000 ლარი (გარდამავალი).
18. სოფ. ხრეითსი ჯაფარიძეები-ჯავახაძეების საუბნო გზის რეაბილიტაცია 85512 ლარი.
19. სოფ. ზოდში ჭიღლაძეების (ყვიჩორლეების) უბანში გზის რეაბილიტაცია 15884 ლარი.
20. სოფ. ზოდში გლახუას წყაროდან ბოყოვლების უბანში გზის რეაბილიტაცია 40621 ლარი (გარდამავალი).
21. სოფელ რგანში ცენტრალური გზის რეაბილიტაცია 118749 ლარი.
22. სოფელ უსახელოში ლაშეს უბნის გზის რეაბილიტაცია 50000 ლარი (გარდამავალი).
23. სოფ. ბერეთისაში ნოზაძეების უბანში გზის რეაბილიტაცია 50000 ლარი (ტენდერი გამოცხადდება გარდამავალი).
24. ჭიათურა-საჩხერის გზატკეცილზე (მღვიმევის მონასტერთან) საპარკინგე ადგილის მოწყობის საპროექტო სამუშაოები 1000 ლარი.
25. სოფელ კაცხში მონასტრის თავიდან ხარატიშვილების უბნისკენ მიმავალი გზის დარჩენილი მონაკვეთის საპროექტო სამუშაოები 1000 ლარი.

**3.2.4. 02 01 05 საყრდენი კედლების აღდგენა მშენებლობა 51295 ლარი მათ შორის:**
1. ჭიათურაში საბჭოს ქუჩა მეორე შესახვევი გიორგი ციცივიძის სახლთან საყრდენი კედლის მოწყობა 26554 ლარი.
2. ჭიათურაში კოსტავას ქუჩაზე სბავშვო ბაღის მიმდებარედ არსებული მინი სპორტული მოედნის საყრდენი კედლის რეაბილიტაცია 24741 ლარი (ხელშკრულება გაფორმებულია).

**3.2.5 02 01 06 ფეხით მოსიარულეთათვის გადასასვლელების, კიბეების, მოედნების მოწყობა 21589 ლარი, მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით 1589 ლარი და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებით 20000 ლარი, აქედან:**
1. ქალაქ ჭიათურაში ყაზბეგის ქუჩაზე გედების ტბისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა დამატებით 1589 ლარი საქართველოს მთავრობის 2021 წლის 16 აგვისტოს N 1419 განკარგულებით (ხელშეკრულება გაფორმებულია).
2. მაღაროელთა მოედნის რეაბილიტაციის საპროექტო სამუშაოები 20000 ლარი.

**3.2.6 02 07 01 მწვანე ნარგავების განაშენიანება სკვერების მოვლა-პატრონობა 9443 ლარი მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით 6443 ლარი და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებით 3000 ლარი, აქედან:**
1. ქ. ჭიათურაში ყოფილი პიონერთა სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე რეკრიაციული ზონისა და სკვერის მოწყობა დამატებით 6443 ლარი, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 16 აგვისტოს N 1419 განკარგულებით (ხელშეკრულება გაფორმებულია).
2. ჭიათურაში ჭიღლაძის ქუჩაზე სკვერის მოწყობის საპროექტო სამუშაოები 1000 ლარი.
3. ჭიათურაში სიგულდას სკვერის მოწყობის საპროექტო სამუშაოები 1000 ლარი.

4. ჭიათურაში ეთერ სამხარაძე-ჯღამაძის სახელობის სკვერის მოწყობის საპროექტო სამუშაოები 1000 ლარი.

**3.2.7 02 07 02 სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები 812000 ლარი საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის N277 განკარგულებით.**

**3.2.8 02 08 სასაფლაოების მოვლა-შემოღობვა 60000 ლარი მათ შორის:**

1. სოფელ ითხვისში მახათაძეები -გოგატიშვილების უბნის სასაფლაოს შემოღობვა 60000 ლარი.

**3.2.9 03 04 სანიაღვრე არხების აღდგენა 20500 ლარი მათ შორის:**

1. ჭიათურაში 9 აპრილისქუჩაზე სანიაღვრე არხის საპროექტო სამუშაოები 500 ლარი.
2. სოფელ ითხვისში კობერიძეების უბანში წყაროს მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები 20000 ლარი.

**3.2.10 04 01 02 სკოლამდელი დაწესებულების აღჭურვა რეაბილიტაცია 61324 ლარი მათ შორის:**

1. სოფელ ბერეთისის საბავშვო ბაღის განყოფილების შენობის ფასადის და შიდა კარებების მოწყობა 10310 ლარი.
2. სოფელ სვერის საბავშვო ბაღის განყოფილრბის შენობის ფასადის ფანჯრებისა და შიდა კარებების მოწყობა 9457 ლარი.
3. სოფელ უსახელოს საბავშვო ბაღის განყოფილების შენობის შიდა კარებების მოწყობა 6919 ლარი.
4. სოფელ წირქვალის საბავშვო ბაღის განყოფილების შენობის ფასადის ფანჯრებისა და შიდა კარებების მოწყობა 28518 ლარი.
5. სოფელ რგანის საბავშვო ბაღის განყოფილების შენობის ფასადის ფანჯრებისა და შიდა კარებების მოწყობა 6120 ლარი.

**დადგენილების პროექტის წარმდგენი:**
**მუნიციპალიტეტის მერი** გ. მოდებაძე **გივი მოდებაძე**

**ავტორი საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის უფროსი:** **მირიან მაჭარაშვილი**